ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი № 1600

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიდება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკებაც დ[ა]ც[ლ]ასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

ხუთშაბათს, 4 ოქტო **ქართული თეატრი** მბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი და სხ.; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 7 ოქტომბერს: მზადდება ახალი პიესა „გაცრუებული იმედები“ კომ. 2 მოქ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

მ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, 9 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე გაიხსნება საოჯახო მრეწველობის მოღვაწეთა კრება. მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე, დილის 11 საათიდან საღამოს 3 საათამდე, კრების ბიუროს მდივნის ვ. ა. სოკოლოვისაგან ცნობები მიიღონ (მთავარ-მართებლის კანცელარიაში). ამას გარდა ცნობების მიღება კნეინა მ. მ. თუმანიშვილისაგანაც შეიძლება (ბარიატინსკის ქუჩა, საკუთარი სახლი) საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ივანე ივანესძე

ზურაბიშვილი

გადავიდა ახალს სადგომში: Елисаветинская ул. (уголъ Кирочной) № 112. (5—4)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

სემიპალატინსკის სარეზერვო ბატალიონის პოლკოვნიკი თავ. ჩოლოყაშვილი დანიშნულ იქმნა ივანგოროდის პირველ მეციხოვნე ჯარის უფროსად.

სამოქალაქო უწყებას:

ქუთაისის გუბერნიის სამართველოს ყოფილს კანცელარიის მოხელეს გველესიანს ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

კავკასიის ექიმთა კრების გამო

—

იმ მრავალ კრებათა შორის, რომელნიც ამ ჟამად გაიმართენ ჩვენს დედა ქალაქში, პირველი ადგილი, უეჭველია, ექიმთა კრებას უჭირავს. კრებას მეტად საყურადღებო და საგულის-ხმიერო საგანი აქვს—ხალხის ჯანმრთელობის საქმე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს მხარეში არ არის ჯერ მოწესრიგებული და საკმაოდ რიგიანად დაყენებული. ძნელად მოიპოვება რუსეთში სხვა ისეთი მხარე, შორეულ ციმბირის გარდა, სადაც ხალხის ჯანმრთელობის საქმე და საექიმო დახმარება ისე ცუდად იყოს მოწყობილი, როგორც ჩვენშია. აიღეთ თუნდ ქალაქები. ერთ ორ მაგალითის გარდა, ყველა ჩვენი ქალაქები ამ მხრივ უმწეონი არიან. მართალია, ყოველ მოზრდილ ქალაქში ექიმთა რიცხვი საკმაოა, მაგრამ მათი შველა-დახმარება უფრო შეძლებულთა ხვედრია, ღარიბი ხალხი კი დაუხმარებლად არის და ისევ მარჩიელ-მკითხავთა ანაბარა რჩება. განათლებულ ქვეყნებში და რუსეთშიაც ღარიბი ხალხის მშველელი საავადმყოფოებია, ჩვენში კი ორ-სამ ქალაქს თუ აქვს წესიერად მოწყობილი საავადმყოფო, ისიც ბევრია...

სოფლის ამბავი განა საკითხავია! ჩვენებური სოფელი სრულიად ღვთის ანაბარა არის მიტოვებული. ქსენონების მუშაობა ჩასათვლელი არ არის: რა უნდა გააწყოს ოციოდე ქსენონმა აუარებელ ავადმყოფთა და დავრდომილთა შორის?! რაც უნდა კეთილ სინდისიერად ასრულებდეს ქსენონი თავის მოვალეობას, ის ვერ გასწვდება ორ ახლობელ სოფელსაც; დანარჩენებმა რაღა ქმნას?! სამაზრო ექიმების მოღვაწეობაზე რაღა უნდა ითქვას? ისინი საპოლიციო-სასამართლოს მოხელეები არიან და არა ექიმები მათ წამდა უწუმ დაათრევენ სხვა-და-სხვა პროტოკოლების შედგენისათვის, ხალხისათვის-კი მათ სრულიად არ რჩებათ თავისუფალი დრო...

ამრიგად, ჩვენი ქალაქიც და სოფელიც საექიმო დახმარების მხრით მეტის-მეტად შევიწროებულია. ექიმთა კრების თავჯდომარემ, ბ. მალინოვსკიმ, თვით აღნიშნა ეს ფაქტი. «კავკასიაო, სთქვა მან, საექიმო დახმარების მხრით ჯერ ისევ განაპირა ქვეყანა არისო. არც საავადმყოფოები, არც ექიმები არ მოგვეპოვება. სამოქალაქო საავადმყოფოები ბაქოსა და ტფილისს კარდა არსად არ არის; ზოგან აპირებენ მათ დაარსებას, ზოგან-კი საავადმყოფო დღესაც მეტ ბარგათ მიაჩნიათ. რა უნდა გააკეთოს ექიმმა ასეთ მხარეში, სადაც აფთიაქიც-კი არ არის?! რამდენიმე ისეთი დაწესებულება, როგორც სასოფლო ქსენონია, მხოლოდ წვეთია დიდ ზღვაში“...

ახლა მოიგონეთ ის საჭიროება, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში და თქვენ გაოცდებით, როგორ ნაკლებია ამ საჭიროების დასაკმაყოფილებელი წამალ-საშუალება! დღე არ გაივლის ისე, რომ გაზეთში ამბავი არ წაიკითხოთ,—აქა და აქ ესა და ეს გადამდები სენი მძვინვარებს და გვიშველეთო. ქალაქებშიაც და სოფლებშიაც მრავალნაირი სენი მუსრს ავლებს ხალხს და პატრონ-მშველელი არსაიდან სჩანს. ეს კიდევ არაფერი: აქა-იქ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში სამუდამოდ დაიბუდა ზოგიერთმა სენმა, რომლის წინააღმდეგ მცხოვრებთ ვერაფერი გაუწყვიათ. აქ მალიარია, იქ ჭლექი, იქ კიდევ მუდმივი ხუნაგი საშინლად არყევენ ხალხის ჯანმრთელობასა და ძირს უთხრიან მის კეთილდღეობას...

ასეთი მდგომარეობა ქვეყნისა მეტად დამაფიქრებელია და ექიმთა კრებას დიდი მხნეობის გამოჩენა ჰმართებს, რათა რაიმე ღონე იღონოს და საშინელს წყლულს მალამო დაადოს. მართალია, ექიმთა კრებისათვის სხვა, უფრო თეორეტიულ საკითხებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ხსენებულ პრაქტიკულ საგანს უპირველესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის და ამიტომ უპირველესი ყურადღება სწორედ ამ მხარეს უნდა მიექცეს.

ზემოდ აღნიშნულ სიტყვაში ბ. მალინოვსკიმ საქმის საშველად ერთი საშუალებაც აღნიშნა: საჭიროა სოფლებში მოგზაურ ექიმთა რაზმები იგზავნებოდეს, რომელნიც ადგილობრივ დაეშველებიან ხალხს. მაგრამ ცხადზედ უცხადესია, რომ ამგვარი რაზმები იგივე წვეთია დიდ ზღვაში, როგორიც ქსენონებია. ეს კიარა, საჭიროა ძირიანად შეიცვალოს საექიმო დახმარების საქმე ჩვენში, საჭიროა ქვეყანა მოფენილ იქმნას საექიმო დაწესებულებებით და საავადმყოფოებით იმდენად მაინც, რამდენად ეს რუსეთის შიდა გუბერნიებშია...

აქ ჩვენ კვლავ ვხვდებით ჩვენის ქვეყნისთვის კარგა ხნის საჭირ-ბოროტო საკითხს. საქმე ის არის, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში საექიმო დახმარების საქმე, ისე როგორც ბევრი სხვა რამ, გააუმჯობესა და ფეხზე დააყენა ერობამ. საერობო დაწესებულებათ პირველშივე დიდი ყურადღება მიაქციეს ხალხის ჯანმრთელობის საქმეს და დიდი ნაწილი თავის შემოსავლისა ამ საქმეზე გადადვეს. რუსეთის შიდა გუბერნიებში ერობამ მრავლად დააარსა საავადმყოფოები, ქსენონები, მოაწყო საექიმო პუნქტები, აფთიაქები, გაიჩინა საერობო ექიმები და სხვა. მეტად დიდია და ნაყოფიერი ამ მხრით ერობის მოღვაწეობა და ტყუილად კი არ კვეხულობს რუსეთის სამკურნალო-სამეცნიერო წრე საერობო მედიცინის მდგომარეობით! ზოგიერთ ქალაქებში ერობათ სამაგალითო საავადმყოფოები აქვთ, რომელთაც სიამოვნებით უჩვენებენ ხოლმე უცხოელ ექიმ-მეცნიერთ...

ჩვენში, როგორც მკითხველმაც კარგად იცის, ერობა არ არსებობს. საერობო გადასახადი ბლომათ გროვდება და იხარჯება, მაგრამ საერობო დაწესებულებათ მოკლებულნი ვართ; ამის მიზეზით მოკლებულნი ვართ ბევრ სასარგებლო დაწესებულებასაც... ჩვენის ფიქრით, სანამ ჩვენს ქვეყანაში ერობა არ იქნება, მანამდის ჩვენს სოფელს რიგიანი და წესიერი საექიმო დახმარება არ ექნება. ამას გვეუბნება როგორც რუსეთის გამოცდილება, ისე მთელის ევროპისა, სადაც ხალხის ჯანმრთელობის საქმის მოწესრიგება მხოლოდ ადგილობრივმა თვით-მართველობამ შეიძლო.

ჩვენში ერობის შემოღების საქმე კარგა ხანია აღძრულია. მთავრობას, რომელიც პრინციპიალურად თანაუგრძნობს ამ საკითხს, ბევრ დაწესებულებათაგან წარედგინა შუამდგომლობა. ახლა ჯერი ექიმთა კრებაზე მიდგა. კავკასიის ექიმთა საზოგადო კრება საკმაოდ ავტორიტეტულია და მის აზრს დიდი ფასი ექნება; ამიტომ, ჩვენა გვგონია, რომ კრება მთელის ქვეყნის სურვილს აღასრულებს, თუ ოფიციალურად დაადგენს განაჩენს, რომ კავკასიის ექიმთა მეორე საყოველთაო კრება მთავრობის წინაშე შუამდგომლობს ამიერ-კავკასიაში ერობის დაწესების შესახებ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

2 ოქტომბერი

ვოლოგდა. დილით 5 გრადუსი სიცივე იყო.

სარატოვი. მალე 40 წელიწადი შესრულდება, რაც ბატონყმობა გადავარდა. ამ დღის აღსანიშნავად, მაზრის საერობო კრებამ 10,000 მან. თანხა გადასდვა გლეხკაცთა ბავშვების გასაზრდელად. ეს ბავშვები საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გაიზრდებიან. ამას გარდა ერობა 4 სოფელში ორ-კლასიან სასწავლებელს გაჰხსნის.

ბორისოგლებსკი. საერობო კრებამ დაადგინა, ბორისოგლებსკში სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობთან სამკითხველო გაიხსნასო.

ტიუმენი. აცივდა.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ 2 ოქტომბერს შემდეგი საქმე გაარჩია: „რუსკი ლისტოკ“-ის რედაქტორ-გამომცემელი კაზეცკი უჩიოდა სერგეი შარაპოვს, „რუსკოე სლოვო“-ს რედაქტორად ნამყოფს კისელევს და გამომცემელს სიტინს. რომ

ცილი დამწამესო. შარაპოვმა „რუსკოე სლოვო“-ში დამაბრალა, ვითომ მე, კაზეცკის, ცუდის უსინიდისო განზრახვით ვისოცკის ფირმაზე გამელაშქროს. შარაპოვმა ცრუ ამბადა სცნა ის ამბები, რაც თითონვე გამოაცხადა და პირობა მისცა კაზეცკის, რომ ზოგიერთ გაზეთშიაც გამოვაცხადებ ამასაო. კაზეცკიც დაკმაყოფილდა და საქმე მორიგებით გათავდა.

ფრანკფურტი მაინზე. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ამბავი მოჰსვლია კონსტანტინეპოლიდან, რუსეთის ელჩმა ხონთქარს ქაღალდი გადასცა იმ ამბების თაობაზე, რაც სომხეთის პროვინციებში მოხდაო. ელჩი თხოულობს, რომ ზოგიერთი კაცი დაისაჯოს, ქურთების ძალმომრეობის წინააღმდეგ სასტიკი ღონიძიება მიიღონ და პროვინციებში მშვიდობიანობა მხნედ დაიცვან. დასასრულ, ელჩი ჩივის: ძველი სერბიიდან გაქცეული სერბები ხონთქრის ნება რთვით შინ დაბრუნდნენ და მოხელეებმა დააპატიმრესო. ელჩი ბეჯითად თხოულობს, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთ ეს სერბები და პირობა მომეცით, რომ სხვა შინ დაბრუნებულ სერბებსაც ეგევე ბედი არ ეწვევათო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 2 ოქტომბერს ბირჟას დასალონებელი დეპეშა მოუვიდა: კაზანს ქვემოთ, თხელ წყალში ასი გემი დადგაო. ბირჟის საზოგადოებამ დღეს დაადგინა: დეპუტაცია ავარჩიოთ და გავგზავნოთ, რომ კაზანს ქვემოთ გემთ მიმოსვლა აღადგინოსო.—2 ოქტომბერს სამოსამართლო პალატა მოვიდა. 4 ოქტომბერს ინჟენერ ალექსანდროვისა და სხვების საქმის გარჩევას შეუდგებიან.

სევასტოპოლი. ქალაქის მფარველი საზოგადოება გაიხსნა.

ეკატერინოსლავი. სლავიანო-სერბსკის მაზრაში, ალმასის მადნის მაღაროში, ხის ხარაჩოებს ცეცხლი წაეკიდა; ორი მაღარო, სადაც 15 კაცი მუშაობდა, ბოლით გაივსო. 4 კაცი გადარჩა, 9 მკვდარი გამოიღეს, 2 კი ჯერ ვერ უპოვნიათ.

ბორისოგლებსკი. საერობო კრებამ დაადგინა: სოფ. როსტოშაში ახალი დიდი საერობო სკოლა გავხსნათო. სკოლის ასაშენებლად 5,000 მანეთი გადადეს.

კიევი. კიევ-კოველის რკინი გზაზე, 422 ვერსის სიგრძეზე რელსების დაგება თითქმის მთლად გაათავეს. საქონლის ზიდვა დაიწყეს. დროებითი მოძრაობა მთელ გზაზე 1 იანვრიდან დაიწყება.

პარიზი. საბერძნეთის მეფე პარიზში მივიდა.

ბერლინი. «რეიხსანცეიგერ“-ი იუწყება: გრაფ ვალდერზეეს „პურლემერიტ»-ის ორდენი უბოძეს მუხის ფოთლებითო.

ტულონი. კრეისერმა „დიუკაილამ“ შეჰნიშნა, რომ გრაფ დელავას ჰაეროსტატი უგზო-უკვლოდ დადიოდა ზღვაში. კრეისერმა ჰაეროსტატიცა და ნავში მჯდომი კაცებიც აქ მოიყვანა.

ვენა. „ვინერ ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა: „განსვენებული კრონ-პრინც რუდოლფის ქალი-შვილი, ჰერც-ჰერცოგინა ელისაბედი უმაღლესის ნებართვით პრინც ოტონ ვინდიშგრეცმა დანიშნაო“.

ბორისოგლებსკი. საერობო კრებამ დაადგინა: საერობო გამგეობას ნება მიეცეს საერობო თანხიდან 10,000 მანეთი სესხად დაურიგოს დაზარალებულ გლეხკაცებს, ხუთის წლის ვადით, 6 პროცენტად.

ლონდონი. ნიუ-იორკის გაზეთები სწერენ: რუზველტს განზრახვა აქვს მომავალ სესიის დროს კონგრესს კაპიტალისტების ტრესტების წინააღმდეგ კანონები დაამტკიცებინოს. განზრახვა აქვს ეგრეთვე დაამტკიცებინოს კანონები უცხოელთ გადმოსახლებისა და ფლოტის გაძლიერების შესახებ. ფლოტი იმდენად უნდა გაძლიერდეს, რომ ინგლისის ფლოტს გარდა, სხვა ევროპიულ სახელმწიფოებისას სათითაოდ ყველას სჯობდესო. რუზველტი იმ აზრისაა, რომ მოხელეების დანიშვნის დროს უნდა ყურს არ უგდებდნენ, თუ ვინ რომელი დასისააო. ახალი პრეზიდენტი ამბობს: დიდად დაუმადლებ ჩვენ ერს, თუ ჩემ მოქმედებას მოიწონებს და 1904 წელს ხელმეორედ პრეზიდენტად ამომირჩევს, მაგრამ, თუ ჩემი აზრები და კანონები არ მიიღეს, მაშინ პრეზიდენტის არჩევანში კანდიდატად აღარ გამოვალო.

ლონდონი. «ტაიმს“-ს ამბავი მოჰსვლია სიმლადან: მოვაჰრეები კვლავინდებურად ზაიბარის გზით დადიან, ხალხი ყველგან დამშვიდებულიაო.

„დეილი მეილ“-ს ატყობინებენ სიმლადან: დემაველადან ავღანისტანის ემირის ელჩი პოლკოვნიკი მაჰმად—იზმაილი მოვიდა ინდოეთის მთავრობასთან სათათბიროდაო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. ახალ პრეზიდენტს, სხვათა შორის, სწადიან მოხელეების დანიშვნის წესიც შესცვალოს. აქამდე პრეზიდენტები სახელმწიფო თანამდებობაზე მარტო თავისი დასის მომხრეებს ჰნიშნავდნენ. რუზველტი კი სულ სხვა აზრისაა. «ტაიმს» ს სწერენ ნიუ-იორკიდან:

«შტატ ალაბამას გუბერნატორად ნამყოფი ჯონსი დღეს ამავე შტატის ფედერალურ მოსამართლედ დაინიშნა. ყველანი ამბობენ: ჯონსის დანიშვნა ძლიერ საყურადღებო საქმეაო. ჯონსი დემოკრატია, მაგრამ ბრაიანის წინააღმდეგი კია. ამბობენ, ვითომ რუზველტს კონგრესის ერთი წევრისათვის ეთქვას: ჯონსს ყველაზე შესაფერისად ვსთვლიდი მოსამართლის თანამდებობისათვის, და იმიტომ გავანწესეო. ვინ რომელ დასს ეკუთვნის, ეგ ჩემთვის სულ ერთიაო. ამას იქითაც ეგრე მოვიქცევიო. თუ რუზველტს მართლა ესე უთქვამს, მაშინ ნამდვილად უნდა მოველოდეთ, რომ რესპუბლიკელი დასის სენატორები დიდ ამბავს ასტეხენ, რადგანაც რუზველტის ქცევა წინანდელ პრეზიდენტების ჩვეულებას ეწინააღმდეგება“.

✿ ამას გარდა, ამბობენ, ზოგიერთ სენატორს რამდენიმე წარჩინებული მოხელის გამოცვლა ეწადათო. რუზველტს სთხოვეს, ეგ მოხელეები მაკ-კინლეის დანიშნულები არიან, არც ვარგანან და სჯობს გამოვცვალოთო. პრეზიდენტმა უპასუხა: ეგ ჩემი საქმეა; ვისაც მინდა გამოვცვლი, ვისაც მინდა დავნიშნავ; არავისი დარიგება არ მესაჭიროება. მე ვარ პრეზიდენტი და მე უნდა ვაგო ყველაფრის პასუხი და არა თქვენ.

გაზეთები მლიერ აქებენ ახალ პრეზიდენტს. ბევრი იმ აზრსაც გამოსთქვამს, ვითომ ამერიკას ჯერ ესეთი მედგარი ხასიათის, პატიოსანი, გონება-განვითარებული და გამჭრიახე პრეზიდენტი არც კი ჰყოლოდესო.

✿ ჩვენ ვიცით, რომ სან-ფრანცისკოში მუშებს გაფიცვა აქვთ გამართული. მაგრამ რას ცდილობენ, რას თხოულობენ მუშები და რა აზრითაა გამართული ეს გაფიცვა, ჯერ არ ვიცით.

ბ. მ. კოვალევსკი სწერს:

«როგორც პიტსბურგში, ან კლივლენდში, აქ სან-ფრანცისკოშიაც მუშა ხალხი სამუშაო ქირის მომატებას და სამუშაო დღის შემოკლებას არა თხოულობს; ეს გაფიცვა სხვა აზრითაა გამართული. მუშები სთხოვენ კაპიტალისტების ტრესტს: ყველა საქმე, რაც კი მუშა ხალხს შეეხება, მაგ. მუშების დაქირავება, სამუშაო ქირის დანიშვნა და სხვა,—სულ მუშების სინდიკატებთან დაიჭირეთო. თუ კაპიტალისტების სხვა-და-სხვა საზოგადოებას შეერთდა და ტრესტები დააარსეს, მუშების საზოგადოებათაც ნება აქვთ შეერთდნენ და იმნაირივე ტრესტები დააარსონო. ცხადია, ეს სურვილი მთლად ეწინააღმდეგება, მთლად არღვევს შრომის თავისუფლებას, მაგრამ განა თითონ კაპიტალისტების ტრესტებმა არ უარ-ჰყვეს ეს თავისუფლება, როდესაც ყველა ერთნაირი ხელობის, ერთნაირი საქმის მიმდევარი კაპიტალისტების საზოგადოებანი შეერთდნენ და ვეება ტრესტები დააარსეს. ცხადია ისიც, რომ წინანდელ ეკონომიურ პოლიტიკას, კონკურენციის (მეცილეობის) თავისუფლებას ამერიკაში ბოლო ეღება. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეთ, რომ სოციალისტებიც მტრულად არ უყურებენ კაპიტალისტების ტრესტებს, მხოლოდ იმას თხოულობენ, მუშებსაც სრული უფლება უნდა ჰქონდეთ, თავიანთი საზოგადოებანი შეაერთონ და დიდი სინდიკატები დააარსონო.

ხალხის მოყვარე რადიკალები კი სულ სხვა თვალით უყურებენ ამ საქმეს. ესენი ამტკიცებენ, მუშების მოთხოვნილება ყურადღების ღირსი არააო. საქმის პატრონს უფლება აქვს, როგორც ჰსურს, ისე წაიყვანოს თავის საქმე. ამ უფლების ჩამორთმევა შეუძლებელიაო. შეუძლებელია აგრეთვე შრომის თავისუფლების მოსპობაცაო. ეს ბუნებრივი უფლებააო. რადიკალები ამბობენ: კაპიტალისტებსაც და მუშებსაც ერთნაირად მონოპოლიის დაწესება ჰსურთ; კაპიტალისტებს სწადიათ საქმის მონოპოლია ჩაიგდონ ხელში, მუშებს კი—შრომისაო.

მუშებმა რომ თავიანთი გაიტანონ, მაშინ კაპიტალისტებს ნება აღარ ექნებათ, მუშებთან პირდაპირ საქმე დაიჭირონ; თითონ უკეთეს მუშებსაც ნება აღარ ექნებათ, თავიანთ ამხანაგებზე მეტი ქირა მიიღონ. ამნაირ აზრს არა თუ მარტო კაპიტალისტები, თითონ მუშების ზოგიერთი მეთაურიც კი არ ეთანხმება. თითონ მუშებისაგან პატივცემული კაცებიც კი დიას წერილებს ჰბეჭდვენ გაზეთებში და მუშების აზრსა და განზრახვებს წინააღმდეგობას უცხადებენ. «ტრედ-უნიონების ფედერაციის», პრეზიდენტს თეოდორ შეფერს ძლიერ ჰკიცხავენ ამ წერილებში.

ჩიკაგოში რამდენიმე ტრედუნიონი არ მიემხრო გაფიცვას, ამიტომ შეფერმა ფედერაციიდან გამორიცხა. მოწინააღმდეგეები ემუქრებიან შეფერს, მაგის პასუხს მოვთხოვთ, მეტად თავ ნებად იქცევი, როგორ შეგიძლია ტრედ-უნიონების გამორიცხვაო და სხვ. მაგრამ შეფერი ყურსაც არავის უგდებს და თავის საქმეს მედგრად უძღვება. მუშების ნიჭიერი მეთაური ამტკიცებს: დიდ-ძალი ფული აქვს ჩვენ ფედერაციას, არას დროს არ შემოგვაკლდება და უსათუოდ ჩვენსას გავიტანთო, კაპიტალისტების გულისად არ გავხდებითო.

რაკი ლაპარაკი ჩამოვარდა, უნდა მოვახსენოთ, რომ შეფერი ძლიერ ნასწავლი კაცია, თავისი მჭევრმეტყველობით მთელ ამერიკაშია გათქმული; მდივნად თავისი ცოლი ჰყავს. გამოილევა მუშების ფედერაციის ფული, თუ არა —ეს არ ვიცი, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ფედერაციას დიდ-ძალი ფული ჰქონია. ამ უსაქმობაში, გაჭირვებაში, ყოველ გაფიცულ მუშას სახარჯოთ 2 დოლარი (4 მან.) ეძლევა დღეში. გაფიცული მუშების რიცხვი კი 250,000-მდე ადის» (ჯერ გაფიცვა არ იყო გათავებული, როცა ბ. კოვალევსკის ეს წერილი დაეწერა).

ინგლისი. ირლანდიელმა დეპუტატმა ო-კონორმა ამას წინად ლივერპულში კრებაზე ილაპარაკა და გამოაცხადა: თუმცა ლიბერალებთან უთანხმოება მოგვდის, მაინც ირლანდიელთ დასი თითქმის ყველაფერში ეთანხმება ლიბერალების პროგრამას და როცა ლიბერალური დასი ხელ-ახლად მიიღებს გლადსტონისაგან ნაანდერძევ სამკვიდროს, იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ირლანდიელები მუდამ დახმარებას გაუწევენო.

✿ წარსულ სამშაბათს ლონდონის პოლიციის სასამართლოში იოჰანესბურგის ციხის უფროსად ნამყოფის დოქტორ კრაუზეს საქმის გარჩევას შეუდგნენ. ბრალდებით ოქმში სწერია:

«როცა კრაუზე იოჰანესბურგს ინგლისის ჯარს აბარებდა, ლორდ რობერტსს სთხოვა: რომ ბურებმა ქალაქის ქუჩებში ბრძოლა არ გამართონ და ტყუილ-უბრალოდ სისხლი არ დაიღვაროს, ამიტომ საჭიროა 24 საათის ვადით ზავი შევკრათო. რობერტსი დასთანხმდა ამ ზავს. კრაუზემ ისარგებლა ამ დროთი და იოჰანესბურგიდან პრეტორიაში 180 ათასი გირვანქა სტერლინგი გაგზავნა და ამით ბურებს დიდი დახმარება გაუწია. კრაუზეს მიწერ-მოწერა ჰქონია გამართული ტრანსვაალის პროკურორთან ბრუკსმასთან (ამას წინად თოფით დახვრიტეს). ამას გარდა კრაუზე ინგლისის და უცხოეთის გაზეთებში წერილებსა ჰბეჭდავდა და ამტკიცებდა, დიდი სახელმწიფოები უსათუოდ გაერევიან ბურების საქმეშიო. ეს გაზეთები სამხრეთ-აფრიკაშიაც იგზავნებოდნენ, ბურებს სახელმწიფოების შველის იმედს უღვიძებდნენ და საბრძოლველად აქეზებდნენ. ბრალდებით ოქმში ისიცა სწერია, ვითომ კრაუზეს ბრუქსმასთვის ერჩია, ლორდ რობერტსის იურის-კონსულტი დუგლას ფოსტერი მოჰკალითო; ბრალდებულს ვითომ რაღაცა ჯავრი სჭირდა ამ ფოსტერისაო. დასასრულ კრაუზეს აბრალებენ, ბურებს ურჩევდა: ინგლისელებს რომ ფიცი მიეცით, დაარღვიეთ და ყოველი გამცემელი და მოღალატე თოფით დახვრიტეთო».

სამხრეთ აფრიკა. გაზ. «ტანი»-ს სწერენ: «ერთ კაპელ ბურს, სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, მაშინვე 300 კაპელი კოლონისტი აჯანყებულებს მიემხრო.

საფრანგეთი. გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ოსმალეთთან შეტაკებაზე და ბეჯითად სთხოვენ მთავრობას, მხნედ ეცადე და ოსმალეთს საფრანგეთის სურვილი შეასრულებინეო.

✿ მთა-მადნის მუშებმა ქალ. ლოისში კონგრესი მოახდინეს და დაადგინეს: ყველა მადნის მუშებმა გაფიცვა მოვახდინოთო. ამიტომ მთავრობამ დაადგინა, ყოველი ღონისძიება მიიღოს, რომ უწესოება არა მოხდეს რაო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთ გაზეთში შემდეგი წერილი დასწერა: «მთავრობამ ეხლავე გადასწყვიტა, რა ღონისძიება მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო გაფიცვა ნამდვილად მოხდა. ჰფიქრობენ, ეს გაფიცვა ორ კვირაზე მეტს ვერ გასტანსო. წესიერების დასაცველად ბეჯითი ღონისძიებაა მიღებული, ჩვენი რკინის გზებისათვის და ნავთ სადგურებისათვის ორი კვირის სამყოფი ქვა-ნახშირია დამზადებული».

გაზეთი «ეხო დე მინ» სწერს: «საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა მთა-მადნებში ინჟენრები გაგზავნა და დაავალა, გასინჯეთ, რომელი მაღაროები უნდა დაიკეტოს, თუ ვინიცობაა გაფიცვა მოხდაო, და რა ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ მაღაროებში სუფთა ჰაერი იყოს (თორემ აფეთქება მოხდება) და ნესტი არ გაჩნდესო. მაღაროების გასუფთავება ქვეითა ჯარს და საპიორების რაზმს დაევალება. რა წამს საყოველთაო გაფიცვა მოხდება, ეს რაზმი მაშინვე მადნებში გაიგზავნება».

მუშები კი ჰფიქრობენ, გაფიცვა სულ მცირედ სამ თვეს მაინც გასტანსო.

ახალი ამბავი

◆ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია **სამხედრო მინისტრის** შემდეგი ბრძანება: „ამ წლის 19 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაამტკიცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ დაწესებული ოთხი სტიპენდია ტფილისისა და დონის კადეტთა კორპუსებში იმ ჯარების ოფიცერთა და ყაზახთა შვილებისათვის, რომელნიც საქართველოში იმყოფებოდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს. 1-ლ ივნისს ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა თვით წესდება ამ სტიპენდიებისა, რასაც ვუცხადებ სამხედრო უწყებას“.

მოგვყავს ზოგიერთი მუხლი ამ წესდებისა: სტიპენდიები არსდება მხედრობის შემდეგ ნაწილებისათვის: 1) ერევნის ლეიბ-გრენადერთა მე-13 პოლკისა, 2) ყაბარდის მე-80 ქვეითა პოლკისა, 3) მე-20 საარტილერიო ბრიგადისა და 4) დონის ყაზახთა ჯარისათვის (მუხ. 1-ლი); სტიპენდიების შესადგენად ტფილისის გუბ. თავად-აზნაურობამ ყოველ წლის დამდეგს უნდა შეიტანოს ხაზინაში 1800 მან. იმ სახლის შემოსავლიდან, რომელიც ტფ. გუბ. თავად-აზნაურობას აქვს ტფილისში (მ. მ. მე-3 და მე-5).

◆ უკვე რამდენიმე წელიწადია დაარსდა საგანგებო კომისია საგლეხო და სასოფლო დებულების გადასასინჯავად, კომისიამ

ეროვნული

ეს ერთი წელიწადია თითქმის შესწყვიტა თავისი მუშაობა. ახლა, როგორც პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, კვლავ იწყება ამ კომისიის მუშაობა.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს ამჟამად განსაკუთრებულ „**სამუშაო წიგნაკებს**“, რომლებშიაც დაბეჭდილი იქნება კანონები და წესები მრეწველთა და მუშათა ურთიერთობის შესახებ. ამ წიგნაკებს საგნად ექნებათ დაიცვან მუშათა ნივთიერი ინტერესები და თავიდან ააცილონ უწესრიგოდ ჯამაგირების მიღება.

✦ სამშაბათს, 2 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზე, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა შესტაკოვმა წარადგინა კავკასიის მთავარ-მართებლის მოწერილობის პირი, ტფილისის გუბერნატორის მოწერილობასთან ერთად, ქალაქის ახალ **ხმოსნების** ახლო მომავალში არჩევანის შესახებ სამს საარჩევნო ნაწილში გამგეობამ განიხილა ეს წინადადება და გარდასწყვიტა: შეატყობინოს ქალაქის ყველა უძრავ ქონების პატრონებს, რომელთაც ჰსურთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსნების არჩევანში, დროზე შეატანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადები; აგრეთვე მისწეროს ყველა ამ მემამულეებს, რომელთაც ქალაქის რამდენსამე ნაწილში აქვს უძრავი ქონება, აცნობონ ქალაქის გამგეობას თუ რომელ საარჩევნო ნაწილში ჰსურთ ჩაეწერონ; საარჩევნო სიების შედგენას ეხლავ შეუდგნენ; საარჩევნო საქმეების გაკეთება დაევალოს ქალაქის გამგეობის პირველს განყოფილებას და ეთხოვოს ქალაქის მდივანს, ბ-ნს ჭრელაშვილს, დახმარება გაუწიოს პირველს განყოფილების საარჩევნო სამუშევრის დროს. ქალაქის გამგეობა ამ ზემოდ აღნიშნულს გარდაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს ტფილისის ქალაქის საბჭოს.

✦ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზედ აღიძრა საკითხი გამგეობას **მეოთხე წევრის არჩევანის** შესახებ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, 5 მარტს ქალაქის საბჭომ გამგეობის წევრის არჩევანი გადასდო ხმოსნების ახალ არჩევნამდე; მაგრამ მაშინ სამი წევრი იყო გამგეობისა და მეოთხე ქალაქის მოურავი, რომელნიც წვდებოდნენ საქმეებს; ახლა, რადგანაც ქალაქის მოურავი გარდაიცვალა და სამს კაცს არ შეუძლია ბევრს საქმეებს გაართვას თავი და ამასთანავე ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსნების არჩევანი მომავალ 1902 წლამდე არ მოხდება, ქალაქის გამგეობამ, 2 ოქტომბრის სხდომაზედ, გარდასწყვიტა შუამდგომლობა იქმნეს აღძრული ქალაქის საბჭოს წინაშე—გადაათვალიერონ საბჭოს 5 მარტის ამ საქმის შესახები გარდაწყვეტილება.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ცირკულიარით შემდეგ წინადადებას აძლევს გუბერნატორებს: რადგანაც ქალაქის თვითმმართველობანი და ერობები ხშირად ისეთ საგნებს იწერენ საზღვარ-გარეთიდან, რომელთაც რუსეთის ქარხნებიც კარგად დაამზადებენ, ამიტომ გუბერნატორები უნდა ეცადნენ, რომ **რუსეთის მრეწველობის** ინტერესების დასაცველად ამ გვარი საგნები თვით რუსეთშივე გაკეთებინონ ხსენებულმა დაწესებულებებმა.

✦ გუშინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა **ადგილობრივ მწერლობის** წარმომადგენელთა სხდომა. კავკასიის მწერლობის წარმომადგენელთ განზრახულ კრებების გამო სხდომაზე შეიმუშავეს ამ მომავალ კრებების პროგრამმა მოტივები.

✦ 9 ოქტომბერს ბ. ფირალოვის თავმჯდომარეობით კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დაიწყება **საოჯახო მრეწველობის** წარმომადგენელთა სხდომები. ამ სხდომებზე, სხვათა შორის, მსჯელობა ექმნებათ საოჯახო მრეწველობის ტეხნიურ გაუმჯობესებაზე და ტეხნიურ ცოდნის გავრცელებაზე ხელოსანთა შორის.

✦ დღეს, 4 ოქტომბერს ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში ქართული დასი წარმოადგენს დ. ერისთავის 5 მოქმედებიან დრამას „**სამშობლოს**“. მონაწილეობას მთელი დასი ღებულობს.

✦ „ვესტნიკ გორნავო დელა“-ს სწერენ ონიდან: „ს. ჩასავალში (რაჭის მაზრა) **რკინის მადანია**. მადნის ღირსება გამოიკვლიეს ოდესის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში და აღმოჩნდა, რომ შიგ 71,8% წმინდა რკინაა. მადანი სულ კერძო მესაკუთრეთა მამულშია· ამ კერძო მესაკუთრეთ პირობით შეეკრნენ რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებნი—მრევლოვი, ჯაფარიძე, ჩხეიძე და სხვ. პირობის ძალით მადნის ყოველ კუბიკურ საჟენში უნდა გადაიხადონ 30 მ. წასულ აგვისტოში მრევლოვმა მოიწვია კიევის პოლიტეხნიკუმის პროფესორი პელმენევი, რომელმაც მთელი კვირა-ნახევარი იმუშავა მადანთან მიწების გამოსაკვლევად. ამ გამოკვლევით რკინის მადანს უკავია ხუთი ოთხ-კუთხი ვერსტი; აქვე არის მარგანეცი და ქვა-ნახშირიც, ყველაფერი, რაც საჭიროა რკინის ქარხნისათვის. პროფესორის აზრით, ამ ადგილს დიდი მომავალი მოელის, მაგრამ რკინის მადნის კუბიკურ საჟენში 30 მ. გადახდა მეტად დიდი ფასია და საზარალოა საქმის დამწყებთათვის. საუკეთესო ფასია 12 იდან 15-მანეთამდეო. პელმენევი თვითონ ამ ფასებს იძლეოდა და პირობას სდებდა, რომ წელიწადში 2000 კუბიკურ საჟენამდე ამოიღებდა. პროფესორი, როგორც ამბობენ, კიდეც შეკვრია ზოგიერთ მემამულეთ სამის წლის ვადით. სოფლელები იძლევიან თავიანთ მიწებს იმ პირობით, რომ საქმას დამწყებთ რკინის გზა გაიყვანონ მთელს მაზრაში. პელმენიევს განზრახვა აქვს სთხოვოს მთავრობას საჭირო რკინის გზის გაყვანა.“

✦ ამავე გაზეთის ერთის კორესპონდენტის სიტყვით, დიდი მომავალი უნდა ექნეს თავ. ივ. ბარათაშვილისა და თულაშვილების მამულსაც, სადაც კარგის თვისების ფერი **მარგანეცი** და მშვენიერი ლიტოგრაფიული ქვა არის.

✦ საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე შუამდგომლობს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რათა მიეცეს სასულიერო უწყებას ადგილი ტფილისის ვაგზალთან რკინის გზაზე მოსამსახურეთათვის **ეკკლესიის** ასაგებად. მთავარ-მართებლის მინდობილობით, ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის თავს შეიტანოს ეს საკითხი საბჭოში განსახილველად.

✦ დღეისათვის დანიშნულია ქალაქის **საიუბილეო კომისიის** სხდომა მოხდენილ ხარჯების რაოდენობის გამოსაკვლევად.

✦ დღეს, 4 ოქტომბერს, საღამოზე ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგება სხდომა **ქალაქის სასწავლებელთა გამგ.-კომისიისა**, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის საპროფესიონალო სკოლის 1902 წლის ხარჯთა-აღრიცხვა; გარდა ამისა ამორჩეულ იქმნებიან ახალნი მასწავლებელნი წინამძღვარიშვილისა და ახაშიანის ნაცვლად, აგრეთვე განაწილებულ უნდა იქმნეს სამღვთო ისტორიის გაკვეთილები და უნდა ამოირჩიონ ადგილობრივ ენების მასწავლებელნი.

✦ 2 ოქტომბრისათვის დანიშნული საჯარო ვაჭრობა კახეთის გზის 800 ოთხ. კ. საჟ., ლაზარევის ქუჩის 300 საჟ., არსენალის ქუჩის 800 ოთხ. კ. საჟ. და სხვ. მოსაკირწყლავად იჯარით გაცემისა **ქალაქის გამგეობაში** არ შესდგა; ამიტომ ახლო მომავალში ხელმეორედ დაინიშნა ვაჭრობა.

✦ **ქალაქის საყასბოს** გამგეობა სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას ეხლავე იზრუნონ საყასბოს კარების გაკეთებაზე, რადგან ძველები აღარ ვარგან და ხშირად საკლავი საქონელი გაიქცევა ხოლმე საყასბოდან.

✦ მაისის განმავლობაში ბათუმისა და ფოთის ნავთ-სადგურებიდან გაუტანიათ საზღვარ-გარეთ 2,416,603 ფუთი მარგანეცი, 579,056 მ. და 92 კ. ღირებული.

✦ ტფილისის **ქალაქის ლომბარდის** გამგემ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას 1200 მ. ლომბარდის საშუალების გასაძლიერებლად. ქალაქის გამგეობამ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

✦ ბაქოდან იტყობინებიან, რომ ბიბიეიბათში გარდა შიბაევის ცეცხლ წაკიდებულ **ნავთის შადრევნისა**, ამოხეთქა ახალი შადრევანი, რომელიც დღეში 320,000 ვედრო ნავთს იძლევა. შიშობენ, რომ ახალ შადრევანსაც ცეცხლი წაეკიდება, რადგან ცეცხლთან ახლო არის.

✦ დღეს, 4 ოქტომბერს, ტფილისის **სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის** პირველი დეპარტამენტი, სხვათა შორის, განიხილავს საქმეს მელიტონ გაბუნიასა, პლატონ ჩიქოვანისა და ტიმოთე შამელაშვილისას, რომელთაც ქურდობის ჩადენა ბრალდებათ, და თომა კემულარიასას, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1483 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

✦ 27 სექტემბერს, პოლიციის მე-4 ნაწილში, ამაღლების ქუჩაზე მცხოვრებ ანნა პავლეს ასულის ალასაროვისათვის მოუპარავს მის მოსამსახურე ქალს ირინე ლავრენტიევისას 200 მან. ღირებული სხვა და სხვა ნივთები და სადღაც დამალულა.

პოლიციის მე-3 ნაწილში, 1 ოქტომბერს, „ლონდონის“ სასტუმროს პატრონს რიხტერს განუცხადებია, რომ მას სხვა და სხვა დროს 400 მან. ღირებული ძვირფასი ნივთები და თეთრეული მოჰპარეს მისმა მოსამსახურეებმა სოლომონ ყაველაშვილმა, რომანოზ მუსერიძემ და კონსტანტინე ყიფიანმა. პოლიციამ თეთრეული უკვე მიიგნო ყაველაშვილთან. გამოძიება სწარმოებს.

კავკასიის გამოფენა

ერთის თვის განმავლობაში გამოფენაზე ყოფილა სულ 113.384 კაცი და შემოსულა 20.204 მანეთი. ჯერ-ჯეროობით შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვა მართლდება და თუ საქმე შემდეგშიაც ასე წავიდა, გამოფენა უდეფიციტოთ გათავდება.

**

კომისარიატს სულ 600 მანეთიღა აქვს ექსპერტიზისა და გამოცდების მოსახდენათ.

**

გამოფენილ სამეურნეო იარაღების საექსპერტო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ინჟენერი ანაგოვი. ამ დღეებში კომისიის წევრები წავლენ ყარაიაზში ანანოვისა და ყორღანოვის მამულებში ხსენებულ იარაღების გამოსაცდელად.

**

გუშინ-წინ გამოფენაზე მოახდინეს აცეტილინის განათების დემონსტრაცია, რომელიც კარგად გათავდა.

**

დღეიდან შეუდგებიან გამოფენილ ტყავების ექსპერტიზას. კომისიის თავმჯდომარეა გრ. გრ. ალიბეგოვი.

**

გუშინდელ დღიდან საექსპერტო კომისია შეუდგა რძის ნაწარმოებთა ექსპერტიზას.

**

გამოფენილი ფქვილის ექსპერტიზა დასრულდა. განსაკუთრებითი ყურადღება დაიმსახურა ძმ. ტიცების (პიატიგორსკი) ფქვილმა, რომელსაც პარიზის გამოფენაზე თურმე ოქროს მედალი მიუსაჯეს.

პრესსა

პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთებს გაცხარებული კამათი აქვთ ახლა ერთის საქმის შესახებ, რომელიც ამ დღეებში გაირჩა პეტერბურგის ერთ-ერთ სასამართლო დაწესებულებაში. საქმე შემდეგი იყო: ამას წინად პეტერბურგის ზოოლოგიურ ბაღში ოფიცერმა კლიკოვმა რევოლვერით მოჰკლა ვინმე მალინოვსკი (უიარაღო «შტატსკი»). სასამართლოში ბ. კლიკოვმა სთქვა, რომ უცნობი მალინოვსკი ამედევნა ბაღში და სიტყვებით შეურაცხჰყო ქალები, რომელნიც ჩემთან იყვნენ და შემდეგ მეც შეურაცხყოფა მომაყენა; მე იძულებული ვიყავი მომეკლა ის, რადგან ჩემი შეურაცხყოფა მუნდირის შეურაცყოფა იყო, და უნდა დამეცვა მუნდირის ღირსებაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო კლიკოვი, მაგრამ მცირე სასჯელი მიუსაჯა.

ყველა გაზეთებმა განიხილეს ეს საქმე და თითქმის ყველა ის აზრისაა, რომ ბ. კლიკოვმა მეტად სასტიკ საშუალებას მიჰმართა „მუნდირის ღირსების“ დასაცველად. გაზეთები სჩივიან, რომ ბოლოს დროს გახშირდა ოფიცრებისაგან უიარაღო ადამიანების მოკვლა „მუნდირის“ შეურაცყოფისათვის და რომ ეს სრულიად ანორმალური მოვლენაა განათლებულ საზოგადოებაში. გაზეთები სხვა-და-სხვა საშუალებათ აღნიშნავენ; მაგალითად, „როსსია“ სწერს:

> «სამხედრო პირთ უნდა სრულიად აეკრძალოს იმგვარ ბაღებში სიარული, როგორც ზოოლოგიურია, სადაც ყოველთვის ბევრი მთვრალი კაცია და ხშირად სკანდალი, ხდება. თუ ოფიცერი თავის „მუნდირის ღირსებას“ ისე იცავს, როგორც თავის ცოლისა ან დის ღირსებას, მაშ არ უნდა წავიდეს ისეთ ადგილას, სადაც არც დას, არც ცოლს არ წაიყვანს».

„ნოვ. ვრემია“-კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უმჯობესი იქნება სამხედრო პირთ ნება მიეცეს სამსახურს გარეთ სამოქალაქო ტანისამოსი ატარონ; მაშინ აღარ დასჭირდებათ ადამიანთა ხოცვა „მუნდირის“ შეურაცხყოფისათვის.

გაზ. „ნოვოსტ“-ი სწერს:

> „სამხედრო პირთ კანონი ნებას აძლევს ხმალში გამოიწვიოს ყოველი კაცი, ვინც მათ შეურაცხყოფს. ამ გზით სამხედრო პირთ საშუალება ეძლევათ დააკმაყოფილონ თავისი გულის წყრომა. მაშასადამე სასტიკი ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ ოფიცრებმა ეს კანონი—ხმალში გამოწვევა—მაინც იკმარონ და წამ და უწუმ არ მიჰმართონ იარაღს უიარაღო ადამიანის მოსაკლავად“.

მერძევეთა და პირუტყვის მომშენებელთა კრება

მერძევეთა მეორე კრება შესდგა 2 ოქტომბერს, საღამოთი, ალ. ქალანთარის თავმჯდომარეობით. კრების გახსნისათანავე კავკასიაში ყველის კეთების შესახებ მოხსენება წაიკითხა ნიკ. ფლეგ. ბლაჟინმა, რომელმაც განაცხადა დაახლოვებით შემდეგი: კავკასიაში შვეიცარიულ ყველის კეთების შესახებ რუსეთში არასფერი არ იცოდნენ 1882 წლის გამოფენამდე. ამ გამოფენაზე ზოგიერთ პირებისაგან წარდგენილი ყველი კი ისეთი კარგი გამოდგა, რომ საექსპერტო კომისიამ იგი კონკურსს გარეშე დასტოვა და არც კი სჯეროდა, რომ ეს კავკასიაში დამზადებულია და არა შვეიცარიაში; ამაში დარწმუნრნენ მხოლოდ კარგა ხნის მიწერ-მოწერის შემდეგ მიღებული ცნობებით. კავკასიის შვეიცარიული ყველი ფეხს იკიდებს რუსეთის ბაზარზე ნელ-ნელ და 1896 სა და 1899 წლის გამოფენების შემდეგ კარგა ძალი მოთხოვნილებაც არის ამ ყველისა ასე, რომ შვეიცარიულს ყველს ბაზარზე მეტოქეობასაც უწევს. მართლაც, თვისებით, სუნითა და გემოთი კავკასიის ყველი არ ჩამოუვარდება შვეიცარიულს, მაგრამ ბოლო ხანებში ცოტა არ იყოს წუნი დასდეს კავკასიის ყველს, რაც იმის მიზეზია, რომ ამ ყველს შვეიცარიულთან შედარებით არ უვარგა ცომი. კავკასიაში ყოველივე პირობები ხელს უწყობს, რომ საუკეთესო ყველი გაკეთდეს და არამც თუ კავკასიისა, არამედ რუსეთის ბაზარზედაც მეტოქეობა გაუწიოს, მხოლოდ საჭიროა საშუალება იქმნეს ხმარებული ყველის ეხლანდელ ნაკლულევანებათა ასაცილებლად და ეს ადვილია, თუ გაუმჯობესებული იქნება ყველის კეთების ტეხნიკა.

რომ რუსეთის ბაზრიდან კავკასიის ყველმა შვეიცარიული განდევნოს, სამი უმთავრესი პირობა უნდა იქნეს შესრულებული: უნდა სუფთა იყოს რძე, მკეთებელმა იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს სპეციალურად ყველის კეთება და მისი გასასყიდად შემზადება. და, რამდენადაც ვიცით, კავკასია კი ამ პირობებს მოკლებულია. ამიტომ, ჩემის აზრით, სთქვა ლექტორმა, სარუვველია დაარსებულ იქმნეს გამოსაცდელი ყველის საკეთებელი ქარხანა, სადაც მიღებოდნენ ხოლმე პრაქტიკულად ყველის კეთების შესწავლის მსურველნი. ამის განხორციელება შეიტანს ხალხში ცოდნას საუკეთესო ყველის დამზადებისას და შემდეგ, რაღა თქმა უნდა, კარგის თვისების ყველი ფეხს მოიკიდებს არამც თუ რუსეთისა, შესაძლებელია შემდეგ ევროპის ბაზარზედაც შექმნას მოთხოვნილება. აღნიშნულ საცდელ ქარხნის გამართვის ხარჯი ყოველთვის შეიძლება დაიფაროს. შვეიცარიის ბერნის კანტონში, რომელიც ბორჩალოს მაზრის მეტი არ იქნება, გამართული ყოფილა 600-მდე ასეთი საცდელი ყველის საკეთებელი ქარხნები მაშინ, როდესაც კავკასიაში ჯერ ერთიც არ არის ასეთი ქარხანა.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ, კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო ბ-ნ ბლაჟინის წინადადება და გამოსთქვა სურვილი ასეთი საცდელ ქარხნის დაარსებისა და აგრეთვე ყველა იმ საშუალებათა მიღებისა, რომელნიც ხელს შეუწყობენ ჩვენში საუკეთესო თვისების ყველის მომზადებას.

საყურადღებო მოხსენება წარუდგინა კრებას ა. ა. ქალანთარმა იმის შესახებ, თუ როგორ მოუპოვოთ ბაზარი კავკასიის მერძევე-მეყველეთა ნაწარმოებს. მისის აზრით, თუ ასე მუყაითად გაგრძელდა კავსასიაში შვეიცარიული ყველის კეთება და ის ნაკლულევანებანი აცილებულ იქმნა, რომელთა შესახებ ბ ნმა ბლაჟინმა მოხსენება წარმოადგინა, მალე ევროპის ბაზარზედაც იშოვის საპატიო ადგილს. ქალანთარმა მოიყვანა მაგალითი ციმბირის მცხოვრებთა, რომელთაც ამ ჟამად 20 მილიონ მანათის კარაქი გააქვთ ევროპაში და აღნიშნა, რომ უმთავრესად ინგლისის ბაზარზე დიდი გასავალი აქვს ნაღებს და ერთგვარს ყველს ესრედ წოდებულს „გორგოზონს“, რომელსაც უმთავრესად ამზადებენ მთის რძისაგან. ათი ფუთი რძისაგან აღნიშნული ყველი ერთი ფუთი შეიძლება დამზადდეს. ქალანთარმა აგრეთვე აღნიშნა შემდეგი საყურადღებო გარემოება: ციმბირიდან ყოველ წლობით თითქმის რამდენიმე მილიონ ფუთს კარაქს ჰგზავნიან ევროპაში. კარაქს ასხამენ პატარ-პატარა ბოჭკებში, რომელნიც მზადდება თეთრი წიფელასაგან; რადგანაც ეს ხე არც რუსეთში და არც ციმბირისაკენ არ მოიპოვება, დიდ ძალს იბარებენ ევროპიდან. ჩვენში, განსაკუთრებით ტფილისისა, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში, ძალიან ბევრია ეს წიფელა და საჭიროა ცდა, რომ ამ ხეს აღნიშნულ მიზნისათვის ბაზარი შეუძინოთ. ამიტომ ვსთხოვთ სამეურნეო საზოგადოებას მოახდინოს ცდა, თუ რამდენად ივარგებს ჩვენებური წიფელა ევროპაში სხვა და სხვა რძის ნაწარმოების გასაზიდ ბოჭკების გასაკეთებლად და შემდეგ, რა-კი ნამდვილი ცნობები გვექნება, შესაძლებელია მის წარმოებას ჩვენში ნიადაგი გაუკეთდეს. კრებამ, ცოტა ხნის კამათის შემდეგ, დაადგინა სთხოვონ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, გაგზავნოს მიწად-მოქმედების დეპარტამენტში რამდენიმე ნიმუში წიფელასი იმის გამოსარკვევად, გამოდგება თუ არა იგი მასალად ზემოდ აღნიშნულ მიზნისათვის.

სასამართლო

1900 წლის 24 დეკემბერს ქუთაისიდან 6 ვერსტის მანძილზე გამართულ არჩილ ცირგილაძის დუქანში ყოფილან ქუთაისის მაზრის სოფ. ჯვარის მცხოვრებნი მიხეილ ბაკურაძე და გიორგი გიორგაძე; რაჭის მაზრის სოფელ ჩასავლის მცხოვრებნი ტურიშვილი და თამაზაშვილი ქუთაისში ყოფილან სხვა-და-სხვა სანოვაგეს გასაყიდლად და, როცა უკან დაბრუნებულან, შემოღამებიათ და ცირგილაძის დუქანში ჩამომხტარან ღამის გასათევად; აქ გიორგაძეს გაუცვნია ესენი და ერთისათვის ხელით ხუმრობა დაუწყია, თითქოს უნდოდა გაესინჯა, აქვს რამე თუ არა უბეში. ცოტა ხნის შემდეგ გიორგაძე და ბაკურაძე შემსხდარან ცხენებზე და წასულან. ტურიშვილს და თამაზაშვილს ცირგილაძის დუქანში ღამის გასათევი ადგილი ვერ უშოვნიათ და ისინიც გამგზავრებულან შინისაკენ. წინ შემოხვედრიან გიორგაძე და ბაკურაძე, რომელნიც მათთან ერთად ისევ უკან დაბრუნებულან. ტურიშვილსა და თამაზაშვილს ეჭვი აუღიათ, ესენი კეთილს არასფერს გვიპირობენო, გარდაუხვევიათ გზაზე და ერთს ადგილზე დამდგარან ღამის გასათევად. ცოტა ხნის შემდეგ ხმა შემოსმიათ: «გიორგი, აქ მოდი, აქ არიანო»—რის შემდეგაც ერთს მოუსწრია ცხენზე შეჯდომა და გაქცევა, ხოლო მეორისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ამოუცლია 50 მან. და წაურთმევია ცხენი. მგზავრები მაშინვე დაბრუნებულან უკანვე ქუთაისში და ეს ამბავი უცნობებიათ ქუთაისის მაზრის უფროსისათვის; გაცარცვაში ეჭვი აუღიათ გიორგაძეზე და ბაკურაძეზე. ტურიაშვილსა და თამაზაშვილს განუცხადებიათ, მთვარიანი ღამე იყო, ყველაფერს კარგად ვარჩევდით და კარგად გვახსოვს, ეგენი დაგვეცნენ თავზე და გაგვცარცვესო.

პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, დამნაშავედ უცვნია გიორგაძე და ბაკურაძე და გარდაუწყვეტია ორივესათვის ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და კატორღაში ოთხის წლის ვადით გაგზავნა.

ბრალდებულნი არ დათანხმებულან ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებას და საქმე განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც საქმე განხილულ იქმნა სამშაბათს 2 ოქტომბერს, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ ნი ტურკევიჩი, რომელმაც ითხოვა მათი ან გამართლება ან-და სასჯელის შემსუბუქება. სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება და ბრალდებულთ მიუსაჯა ზოგიერთ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლით გაგზავნა.

პროვინცია

ს. ხომული (ქუთაისის მაზრა). სოფელი ხომული ჩუნეშთან ერთად ამ ჩვენს მხარეზე განთქმულია თავისი მვირფასი კუნძას და სამჭაჭას ღვინოებით და ამიტომაც აქაური ვენახები დიდ მოსავალს და სარგებლობას აძლევდნენ აქაურს მამულის მეპატრონეებს.

წინა წლებში დადგებოდა თუ არა სექტემბრის თვე, ქუთათური ჩალვადრები, რომელნიც ღვინით ვაჭრობენ, მხიარულ ქარავანსავით გაემგზავრებოდენ ხომულისა, ჩუნეშის და წყალტუბოსაკენ, საიდანაც ბლომად მიჰქონდათ ნაყიდი საადრეო მაჭრები. საყიფიანოში (რაჭაში), ობჩის, ფერსათის, სვირის და კვალითის მემამულენი მაჭრებს გვიან აყენებენ ხოლმე, ამიტომ ქუთაისზე ახლო-მახლოდ მდებარე ეს ჩვენი სოფლები უმასპინძლდებოდა მაჭრებით ქუთათურებს, რომელთაც მაინცა და მაინც ძალიან ძვირადაც არ უჯდებოდათ ეს მაჭრები.

მაგრამ დრონი იცვალნენ და აქაურებსაც უმტყუნათ ბედმა. ეს სამი წელიწადია, ღვინის მოსავალმა იკლო საშინლად და ამის გამო ხალხი დიდს საგონებელში არის ჩავარდნილი. მიზეზი ღვინის მოუსავლობისა, რასაკვირველია, ფილოქსერაა, რომელიც ამ სოფელში აღმოჩნდა ამ ორი წლის წინათ. ვენახებს ანადგურებს აგრეთვე ობი (მილდიუ) და ნაცარი, რომლის წინააღმდეგ საფილოქსერო კომიტეტის დაუხმარებლად იბრძვის ხალხი, მაგრამ მაინცა და მაინც ამ წამლობას ხეირი არ მოაქვს, რადგან წამლობის დროს, აპრილში, მაისში და ივნისში ეს ორი წელიწადია გამუდმებული, გადაუღებელი წვიმები იყო. გლეხებმა, სხვა ღონე რომ არა იციან-რა, ახალი ვენახების გაშენებას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ეს ახალი ვენახებიც ორი წლის კაი მოსვლის შემდეგ, სრულიად გახმენ და დღეს ხალხმა ამაზედაც გული აიყარა.

ჩემის აზრით, ისინი, ვინც ბევრს ჰყვირიან ვენახების განადგურებაზე და ამ ყვირილისთვის საკმაო ჯამაგირებსაც იღებენ, ვალდებულნი არიან ქვეყნის და სინიდისის წინაშე, რომ დაეხმარონ ხალხს ამ გაჭირვებაში და ამერიკულ ვაზებზე დამყნილი ჩვენებური ჯიშის ვაზები გააშენებინონ. ქუთაისიდან მოყოლებული მდ. ცხენის წყლის პირამდე, უკანასკნელი რომ გაინგარიშოთ, ორმოცდა ათზე მეტი მჭიდროდ დასახლებული სოფელია გაშენებული და ყველგან იქ კარგი ჯიშის ვაზი ხარობს, ღვინის მოსავალიც დიდი იცოდა და ქუთაისისა და ხონის ბაზრებზე მაჭრებს ბლომადაც გაჰქონდათ დღეს ამდენ სოფლებში ერთს ადგილსაც ვერ ნახავთ, რომ საფილოქსერო კომიტეტის მოხელეს, ან აგრონომებს სადმე ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახი გაეკეთებინოს საცდელად და ხალხისათვის დაენახვებინოს მისი ნაყოფიერება და სარგებლობა. ხალხი რაღაც ზღაპარივით ლაპარაკობს, რომ საქარისკენ, ვანანოვს (ვითომ ანანოვს—აჯამეთში) და სხვებს დამყნილ ვენახებზე ბევრი მოსავალი მოსდისო, მაგრამ, რაკი თვალით არ უნახავს, ეს ზღაპარი ჰგონია, ვერაფერი ვერ მოუხერხებია ამ შემთხვევაში და არის თვალ-დახუჭული და გამოშტერებული. ვიმეორებ, ხალხი სრულიად უვიცია ამ დიდ საქმეში და ეჭირვება დიდი დახმარება და ხელმძღვანელობა.

წლევანდელი ღვინის მოუსავლობა მაინც სწორედ საარაკოა. ვისაც ორმოცი, ორმოც და-ათი საპალნე მოდიოდა წმინდა, სანაქებო ღვინო, იმან დღეს ერთი საპალნე ძლივს დაწურა. ჩალვადრებსაც გაგებული აქვთ წლევანდელი წლის მოუსავლობის ამბავი და აგერ ორი კვირა გადის, რაც ერთი ჩალვადარი არ გაჭაჭანებულა აქეთკენ მაჭრის საყიდლად. კარგადაც იქცევიან ჩალვადრები. რასთვის უნდა მოვიდნენ და დაკარგონ ტყუილ-უბრალოდ დრო მაშინ, როდესაც სოფელში საზედაშე ღვინოც არ არის!?.

სოფლელებს ცოტაოდენი იმედი დარჩენოდათ სიმინდის მოსავლისა, მაგრამ ნადვთის მშობლებს, ესე იგი 9 სექტემბრიდან მოყოლებული სულ წვიმები მოდიოდა და 16 და 17 ენკენისთვეს ისეთი კოკისპირული წვიმა დაუშვა, რომ ოთხი საათის განმავლობაში მთებიდან მომსკდარი ნიაღვრები უშველებელ, გაგიჟებულ მდინარეებს დაამსგავსა და ჭალები გადააქცია თვალ გადაუწვდენელ დიდ დიდ ტბებად. ამ წვიმებმა და ნიაღვრებმა წარეცხა, გაათუხა და საშინლად ჩახრამ-ჩაღრმავა გზები, სიმინდის ყანები სულ ერთიანად წალეკა და ამოსილა. ამ გარემოებამ სიმინდის მოსავლის იმედიც მოუსპო ხალხს. საზოგადოთ საძაგელი ტაროსია ამ ჟამად ამ ჩვენს მხარეზე. ამდა ახალ-ცხის მთებზედაც თოვლი დასდო და იმისი სუსხით ღამე და საღამ საღამობით ძალიან ცივა.

—ფ.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოს უფროსი გენერალი პეტროვი დაბრუნდა პეტერბურგს და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

კალუგა. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული კაზელის მაზრიდან წავიდნენ.

მოსკოვი. გაიხსნა ახალი სავაჟო გიმნაზია მედვედნიკოვას ხარჯით. გიმნაზია განსაკუთრებული ტიპისაა.

ხარკოვი. ხარკოვის საზეითლო ინსტიტუტი 6 ოქტომბერს დღესასწაულობს თავის არსებობის 50 წლის შესრულებას.

ბორისოგლებსკი. საერობო კრებამ დაადგინა სოფელ ნადეჟინკიში დააარსოს საზებიო ქსენონი.

სიმლა. მეფის მოადგილემ შეატყობინა ახალ ემირს ხაბიბულას, რომ ბრიტანიის მთავრობის თანხმობით, იგი აღიარებს ხაბიბულას ავღანის ემირად. ამასთანავე მეფის მოადგილემ ინგლისის მეფისაგან სამძიმარი და თანაც წარმატების სურვილი გამოუცხადა.

ბერლინი. „ლაფფან“-ის სააგენტოს აცნობებენ ნიუ-იორკიდან, რომ ამერიკელი ვაჭრები სწუხან, რადგან, მას შემდეგ, რაც რუსეთის შაქარზე დამატებითი ბაჟი დაადეს, გერმანელები გაბატონდნენ რუსეთის ბაზარზეო. საქონლის გამგზავნი ვაჭრები სცდილობენ შეერთებულის საშუალებით დაიცვან თავიანთი ინტერესები. სხვათა შორის სურთ კონგრესზე ძალა იხმარონ და საბაჟო კანონი ხელახლად გადაასინჯვინონ.

მადრიდი. სევილიაში ხელახლად არეულობა მოხდა, რის გამოც სამხედრო წესები შემოიღეს. ამბოხებაა აგრეთვე ანდალუზის სხვა ადგილებშიაც.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა უარჰყოს კომისიის მიერ შემოკლებული ხარჯთ-აღრიცხვა სასულიერო უწყების საქმეში, აგრეთვე იმ ხარჯის შემცირებაც, რომელიც ეხება საელჩოს პაპ ს წინაშე, და სამისიონერო დაწესებულებათ აღმოსავლეთში.

პეტერბურგის ბირჟა 2 ოქტომბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,40	
ბერლინზე „	46,30	
პრიზზე „	37,55	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅛	გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	449	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	246	მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	90	გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

რედაქტორი ალ. ჭყონია. — გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
ვერის მოედანზე, ყაფანთან.
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (0—14)

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟინეიშვილის მაღაზიებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Октября 1901 г. — ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.